ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №01-03-209

ქ. თბილისი **18 ოქტომბერი, 2017 წელი**

- **1 ხელშეკრულების მხარეები**

ხელშეკრულება დადებულია მხარეებს შორის:
ერთი მრივ, შპს "ფორვარდ აკადემი" (ს/ნ6405201115), წარმოდგენილი დირექტორის, ნოდარ ლობჟანიძის სახით, შემდეგში: "მიმწოდებელი" და მეორე მრივ, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (ს/ნ:202374251), შემდეგში: "შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი მაჩაბლის სახით.

ერთის მხრივ - შემსყიდველი და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

- **2 ხელშეკრულების საგანი**

2.1 - მიმწოდებელი შემსყიდველის მიერ წინასწარ შერჩეულ მესამე პირს, ირინე აბულაძეს შემდგომში მოსარგებლეს, აძლევს უფლებას გაიაროს "დავით გოგიჩაიშვილის საავტორო კურსი - ადამიანების მენეჯმენტი". 2017 წლის 20 ოქტომბრიდან - 27 დეკემბრის პერიოდში, 10 სალექციო შეხვედრა, ერთი შეხვედრა 3 საათის ხანგრძლივობის.
2.2 - კლასიფიკატორის კოდი: CPV80500000 - **სატრენინგო მომსახურებები**, CPV80532000 - **პროფესიული მომზადება მენეჯმენტის სფეროში**.

- **3 ფინანსური ნაწილი**

3.1 სალექციო კურსის საფასური ერთ ადამიანზე შეადგენს 2400 (ორი ათას ოთხასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

- **4 მხარეთა უფლებები და მოვალეობები**

4.1 - მიმწოდებელი ვალდებულია:
4.1.1 - კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები, საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები;
4.1.2 - მიაწოდოს ინფორმაცია შემსყიდველს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;
4.1.3 - ღონისძიების შეუსრულებლობის გამომწვევი გარემოების არსებობისას წინასწარ ან დაუყოვნებლივ შეატყობინოს შემსყიდველს მისი გამომწვევი მიზეზებისა და სავარაუდო დროის მითითებით;
4.2 - შემსყიდველი ვალდებულია:
4.2.1 – მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით გადაიხადოს სასწავლო კურსზე დასასწრები, მოსარგებლისთვის წინასწარ დარეზერვებული ადგილების საფასური, 2400 (ორი ათას ოთხასი) ლარი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით, ამავე ხელშეკრულების მე-9 მუხლით "შემსრულებლის" საბანკო ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელების გზით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

- **5 სახელშეკრულებო ვადა და აღსრულება**

5.1 - ხელშეკრულება ძალაშია მიმწოდებლისა და შემსყიდველის მიერ ხელმოწერის დღიდან და შესრულებულად ითვლება მიმწოდებლისა და შემსყიდველის მიერ მიღება ჩაბარების აქტის ხელმოწერისთანავე.

- **6 ხელშეკრულების შეწყვეტა**

6.1 - ხელშეკრულება წყდება ვადის გასვლის შედეგად.
6.2 - ორივე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:
6.2.1 - მხარეებმა არ შეასრულეს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;
6.2.2 - დაირღვა ხელშეკრულების პირობები;
6.4 - ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა საფუძველი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

- **7 მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა**

7.1 - თითოეული მხარე პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის.
7.2 - თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად.

7.3 - დაუძლეველ ძალად მიიჩნევა ისეთი ფაქტის ან გარემოების არსებობა, რის გამოც ხელშეკრულების მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებას, კერძოდ:

7.3.1 - ხანძარი ან აფეთქება, წყალდიდობა, სტიქიური უბედურება;

7.3.2 - სამხედრო მოქმედება, აჯანყება, არეულობა, სამოქალაქო ომი.

7.4 - თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობითი სახით დაუყოვნებლივ შეატყობინოს დაუძლეველი ძალის არსებობის შესახებ, რის გამოც იგი ვერ ახერხებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

7.5 - ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეებს შორის წყდება შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ.

- **8 დამატებითი პირობები**

8.1- ურთიერთობები, რომელიც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

8.2 - წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

8.3 - ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით ახალი ხელშეკრულების დადებით.

8.4 - ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაც მხარეები, შემსყიდველი და მიმწოდებელი ინაწილებენ.

- **9 მხარეთა რეკვიზიტები**

შემსყიდველი: სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი საიდენტიფიკაციო ნომერი: 202374251 იურიდიული მისამართი:ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა 4 **წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):** დირექტორი: გიორგი მაჩაბელი **საბანკო რეკვიზიტები:** ბანკის დასახელება: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ანგარიშის ნომერი: GE24 NB03 3010 0200 1650 22	**მიმწოდებელი:** შპს "ფორვარდ აკადემი" საიდენტიფიკაციო ნომერი: 405201115; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის 34 **წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):** დირექტორი: ნოდარ ლობჟანიძე **საბანკო რეკვიზიტები:** ბანკის დასახელება: სს "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE51TB7217636020100004

- **10 მხარეთა ხელმოწერები**

შემსყიდველი

გიორგი მაჩაბელი

მიმწოდებელი

ნოდარ ლობჟანიძე

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურეთ, რომ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის“ შესყიდვების სპეციალისტი

მაია კვარაცხელია

ვიზირება :
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის“ მენეჯერი

ირინე აბულაძე

ვიზირება:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

დავით ხუციელიძე

ვიზირება:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი

ია ძებისაური

ვიზირება:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების კოორდინატორი

ნიკო გიგოლაშვილი

ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

გიორგი მაჩაბელი